თავი 1 შესავალი

სარჩევი

1 შესავალი 1-1
1.1 ზოგადი ნაწილი 1-1
1.2 დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ისტორია 1-1
1.3 დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის დასაბუთება 1-3
1.4 WREP-ის ოპერატორი: GPC-ისა და BP-ს ურთიერთობა 1-5
1.5 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი 1-5
1.5.1 ამოცანები 1-5
1.5.2 ESIA-ს სამუშაოს მოცულობა 1-6
1.5.3 ESIA-ს პროცესის ეტაპები 1-6
1.6 წინამდებარე ESIA-ს ანგარიშის სტრუქტურა 1-7
1.7 WREP-ის წინა EIA-ს დანართები და დამატებითი კვლევები 1-10

ცხრილები

ცხრილი 1-1: ESIA-ს ანგარიშის სტრუქტურა 1-8

სურათები

სურათი 1-1: WREP (წითელი) და BTC/SCP (ლურჯი) მილსადენების გეოგრაფიული განლაგება 1-3
სურათი 1-2: WREP-SR-ის საპროექტო მონაკვეთები 1-4

1 შესავალი

1.1 ზოგადი ნაწილი

წინამდებარე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშში განხილულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) სექციური ცვლილებების (SR) პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედების ტიპები, შემარბილებელი ღონისძიებები და ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მართვა. მოცემული დოკუმენტი მომზადდა ნებართვის მისაღებად წარდგენილი განაცხადის მხარდასაჭერად. წინამდებარე ESIA ანგარიშში შემოთავაზებული ღონისძიებები უნდა დამტკიცდეს ხელისუფლების შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ.

WREP-ის სექციური ცვლილებების პროექტი ხელმძღვანელობს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებაში (HGA) განსაზღვრული მოთხოვნებით; აღნიშნული ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ საქართველოს მთავრობა და 1 ნავთობკომპანია, მათ შორის - BP Exploration (Caspian Sea) Limited (BP). წინამდებარე ESIA ანგარიში მომზადდა WREP HGA-ის (კერძოდ, EC დირექტივა 2014/52/EU[1]) მოთხოვნების შესაბამისად. იგი აგრეთვე აკმაყოფილებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონისა (14 დეკემბერი, 2007 წ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების (2011 წ) მოთხოვნებს იმ ხარისხით, რომლითაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან HGA-ს.

WREP-ის სექციური ცვლილებების პროექტის ESIA ჩაატარა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია RSK Environment Limited (RSK)-მა, რომელიც სპეციალიზდება ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში, ქართულ პარტნიორ კომპანიებთან, კერძოდ "ძელქვა"-სა და ACT-სთან ერთად, რომლებსაც ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში კვლევების წარმოებისა და კონსულტირების შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ.

1.2 დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ისტორია

1996 წლის მარტში საქართველოს მთავრობას და 12 ნავთობკომპანიას შორის დაიდო ხელშეკრულება ნედლი ნავთობის კასპიის ზღვიდან (აზერბაიჯანი) შავ ზღვამდე (საქართველო) ტრანსპორტირების შესახებ. ამ კომპანიების უმეტესობა აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (AIOC) მეწილეები არიან; AIOC წარმოადგენს ერთობლივ საოპერაციო კომპანიას, რომელიც არის ერთობლივი ოპერატორი კომპანია აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორის აზერის და ჩირაგის საბადოებისა და გიუნეშლის საბადოს ღრმა წყლის ნაწილის ერთობლივი განვითარების და პროდუქციის განაწილების ხელშეკრულების მიხედვით (დათარაღებულია 1994 წლის 20 სექტემბრით) (ACG PSA). ACG PSA-ის მიხედვით, კონტრაქტორ მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ AIOC-ის მეწილე კომპანიებს, მიენიჭათ ერთპიროვნული და ექსკლუზიური უფლება აწარმოონ ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობები კონტრაქტის მიხედვით,

[1] PCOA-ში (HGA-ს დანართი) მითითებულია EC დირექტივა 85/337/EC, რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა და ახლა გაერთიანებულია დოკუმენტში 2014/52/EU.

რომელიც მოიცავს აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორის აზერის და ჩირაგის საბადოებისა და გიუნეშლის საბადოს ღრმა წყლის ნაწილის ტერიტორიებს.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით (HGA) განსაზღვრული იყო საოპერაციო კომპანიის ჩამოყალიბება საქართველოში, რომელიც ნავთობკომპანიებმა დააფუძნეს საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) სახით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სანაპიროდან საქართველოს შავი ზღვის სანაპირომდე ნედლი ნავთობის არსებული საექსპორტო მილსადენის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

WREP-ის რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ჩატარდა 1996 წელს, გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცა 1997 წელს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ (MENRP). მშენებლობა განხორციელდა 1997–1998 წლებში, ხოლო მილსადენი ექსპლუატაციაშია 1999 წლიდან.

WREP ახორციელებს ნავთობის ექსპორტს აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაზე მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სუფსის ტერმინალამდე. WREP-ის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 373 კმ-ია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან სუფსამდე. საზღვრის გადაკვეთის შემდეგ მილსადენი თბილისს ჩრდილოეთის მხრიდან უვლის გვერდს და ჩრდილო-დასავლეთით სუფსის ტერმინალისკენ მიემართება. საქართველოში WREP-ის სისტემა მოიცავს სამ სატუმბ სადგურს (PS11, PS13 და PS15), ორ წნევის მარეგულირებელ სადგურს (PRS1 და PRS2), სამ უკუსარქველს, ოცდარვა ჩამკეტ სარქველსა და სუფსის ტერმინალს. ნავთობის ტრანსპორტირება სუფსის ტერმინალიდან საზღვაო ჩასატვირთ პლატფორმამდე ხდება სხვა მილსადენით, რომელიც წინამდებარე ESIA–ში მოხსენიებულია, როგორც „საექსპორტო მილსადენი“.

WREP-ის მდებარეობა ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. სურათი 1-1).

სურათი 1-1: WREP (წითელი) და BTC/SCP (ლურჯი) მილსადენების გეოგრაფიული განლაგება

1.3 დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის დასაბუთება

WREP-SR პროექტი ხორციელდება WREP-ის უწყვეტი და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით. პროექტი გულისხმობს 330 კმ მანძილზე WREP-ის გასწვრივ, PS11 სადგურსა და სუფსის ტერმინალს შორის მდებარე მილსადენის გარკვეული მონაკვეთების გამოცვლას და მათთვის მარშრუტის შეცვლას. ამ სამუშაოს ჩასატარებლად არსებობს ორი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი:

- მეწყრები: საქართველოში საკმაოდ დინამიური გარემოა, რომელსაც გეოლოგიური და კლიმატური მიზეზების გამო მუდმივი გეომორფოლოგიური ცვლილებები ახასიათებს. ფერდობების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გადაწყდა მარშრუტის შეცვლა მილსადენის სამ მონაკვეთზე.
- მდინარის გადაკვეთები: მდინარეები ასევე წარმოადგენს დინამიურ გარემოს. მდინარის კალაპოტისა და ნაპირების გამორეცხვის გამო საჭიროა მილსადენის ორივე - WREP-ის და საექსპორტო ხაზის მდინარე სუფსასთან გადაკვეთების გამოცვლა.

WREP-SR-ის გამოსაცვლელი მონაკვეთები ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. სურათი 1-2) და აღწერილია მე-5 თავში - პროექტის აღწერა.



სურათი 1-2: WREP-SR-ის საპროექტო მონაკვეთები

1.4 WREP-ის ოპერატორი: GPC-ისა და BP-ს ურთიერთობა

საქართველოში WREP-ის ოპერირების მიზნით 1996 წელს დაფუძნდა საქართველოს მილსადენის კომპანია (GPC) იგივე კომპანიების მიერ, რომლებიც იმ დროისთვის წარმოადგენდნენ AIOC-ის მეწილეებს. GPC-ის ამჟამინდელი მეწილეები წარმოადგენენ შემდეგი კომპანიების ფილიალებს: BP, Chevron, ExxonMobil, Statoil, Inpex, TPAO, Itochu და ONGC Videsh Limited). მოგვიანებით, BP-ს მიერ იქნა აღებული WREP-ის ერთპიროვნული მართვა, თუმცა ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, WREP-თან დაკავშირებული უფლებები და პრივილეგიები განსაზღვრულია GPC-თან მიმართებაში.

ამგვარად, წინამდებარე ESIA-ს ანგარიში მომზადდა GPC-ის, როგორც WREP-ის საოპერაციო კომპანიის სახელით. თუმცა, დოკუმენტში მითითებები კეთდება BP-სა და BP-ის სტრატეგიებსა და პრაქტიკებზე, რამდენადაც ის წარმოადგენს ოპერატორ კომპანიას.

1.5 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი

1.5.1 ამოცანები

WREP-SR პროექტის ESIA პროცესის მთავარი მიზანია პროექტით გათვალისწინებული საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი უარყოფითი ეკოლოგიური და სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების გამოვლენა და, შესაძლებლობის ფარგლებში, მათი აღმოფხვრა ან მინიმუმამდე შემცირება ადრეულ ეტაპებზე, შემარბილებელი ღონისძიებების ჩართვით წინასწარულ საინჟინრო დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში. ESIA პროცესის მიზნები შემდეგია:

- პროექტის შედეგად მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების გამოვლენა და შეფასება
- ზემოაღნიშნული შეფასების შედეგების გამოყენება ვარიანტების შერჩევისა და საინჟინრო პროექტის დამუშავების პროცესში
- პოტენციურად ნეგატიური ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების თავიდან აცილების, შემცირების ან შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და პოტენციურად დადებითი ზემოქმედებების ოპტიმიზაცია
- ფონური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდება პროექტის ზემოქმედებების შეფასება და შესაბამისად გამოსწორება
- კონსულტაციები პროექტის 'დაინტერესებულ მხარეებთან' და მათი შეხედულებების გარკვევა.

ამ დოკუმენტის ფარგლებში, WREP-SR პროექტის ნებისმიერი პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით ჩატარდა:

- WREP-SR პროექტის მშენებლობის მიმართ მოქმედი გარემოსდაცვითი ნორმები, სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები

- ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის არსებული მდგომარეობა
- პროექტის 'დაინტერესებული მხარეების' მიერ წამოჭრილი საკითხები და პრობლემები.

1.5.2 ESIA-ს სამუშაოს მოცულობა

წინამდებარე ESIA მოიცავს WREP-SR პროექტის ყველა კომპონენტს, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს. ესენია: მილსადენის ზოგიერთი მონაკვეთის (RP-001a, RR-001 და RR-004a) მარშრუტის შეცვლა, მდინარე სუფსის ორი გადაკვეთის გამოცვლა და პროექტის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული დროებითი სამუშაოები.

ESIA კვლევის გეოგრაფიული გავრცელება განისაზღვრა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- მილსადენის მარშრუტის გასწვრივ, მდინარეთა გადაკვეთებზე და პროექტის ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი დამხმარე სამუშაოების ფიზიკური გავრცელება
- ფონური გარემოს ტიპი და სამუშაო უბნის ფარგლებს გარეთ ზემოქმედების გავრცელების მოსალოდნელი საშუალებები.

დროის პერიოდის თვალსაზრისით, ESIA კვლევის მოცულობა ფარავს პროექტის დამუშავების, მშენებლობის, ექსპლუატაციაში შეყვანის, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ეტაპებს; იგი აგრეთვე ითვალისწინებს დღის პერიოდს, როდესაც დაგეგმილია სამუშაოების წარმოება.

1.5.3 ESIA-ს პროცესის ეტაპები

ESIA პროცესი, რომელიც გამოყენებული იქნა WREP-SR პროექტისთვის, დეტალურადაა აღწერილი მე-3 თავში - 'მიდგომა და მეთოდოლოგია'. საერთო ჯამში, იგი წარმოადგენს რამდენიმე მიმდინარე და ურთიერთგადამფარავი საქმიანობების ერთობლიობას, რომელიც ქვემოთაა ჩამოთვლილი:

- საკითხების გაცხრილვა: მოიცავს ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების ტიპების წინასწარ გამოვლენას, საკვანძო ეკოლოგიური და სოციალური სენსიტიურობებისა და მათზე პროექტის პოტენციური ზემოქმედების ადრეულ ეტაპზე გააზრების მიზნით
- პროექტის განსაზღვრა: მოიცავს ალტერნატიული ვარიანტების შეფასებას პროექტის კონცეფციის, მილსადენის მარშრუტის ვარიანტების, ტექნიკური მიდგომების და შემარბილებელი ღონისძიებების ალტერნატივების თვალსაზრისით
- სამუშაოს მოცულობის დადგენა: გრძელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში და რამდენიმე ისეთ ცალკეულ ელემენტს მოიცავს, როგორიცაა 'დაინტერესებული მხარეების' იდენტიფიკაცია და წინასწარი კონსულტაციები, პროექტის ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის დამუშავება და პოტენციური ზემოქმედებების წინასწარი შეფასება
- კონსულტაციები: გულისხმობს როგორც პროექტის შესახებ ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისათვის მიწოდებას (მაგ., ადგილობრივი მოსახლეობა

და ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი და ცენტრალური მედია), ასევე პირისპირ შეხვედრების საფუძველზე პოტენციური ზეგავლენების დაზუსტებას. კონსულტაციები და დიალოგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საქმიანობას, რომელიც გრძელდება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე

- ფონური ინფორმაციის შეგროვება: გულისხმობს ბუნებრივი და სოციო-ეკონომიკური გარემოს არსებული მდგომარეობისა და პროექტის მიმართ დაინტერესებული მხარეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასებას ხელმისაწვდომი მონაცემების მიმოხილვისა და ეკოლოგიური და სოციალური კვლევების საფუძველზე
- შეფასება: გულისხმობს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში ყველა შესაძლო ზემოქმედების გამოვლენასა და მათი მნიშვნელობის შეფასებას, აგრეთვე ყველა პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებასა და შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებული ყველა სარგებლის გაძლიერებას

- საჯარო განხილვა: საჯარო განხილვა მოიცავდა ESIA ანგარიშის პროექტისა და სხვა მასალების, როგორიცაა ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშის (ESBR), ტექნიკური რეზიუმესა და არატექნიკური რეზიუმეს, განთავსებას ინფორმაციის გავრცელების ისეთ ადგილებში, როგორიცაა საჯარო დაწესებულებები, ადგილობრივი ადმინისტრაციული დაწესებულებები და BP Caspian-ისა და BP Georgia-ს ვებ-გვერდები. განხილვის პერიოდის დასრულების შემდეგ მოხდა შეხვედრების ორგანიზება დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრთან. საჯარო განხილვის პროცესი ორ ძირითად ამოცანას ემსახურებოდა:

  - დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შემოთავაზებული პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებებისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების სრული გააზრებისათვის
  - ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების მხრიდან შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების განხილვასა და მათთან დაკავშირებით შენიშვნების გამოთქმას
- დასამტკიცებლად წარდგენა: საჯარო განხილვის პროცესში მიღებული შენიშვნები გახდა სათანადო განხილვის საგანი და, საჭიროების შემთხვევაში, შენიშვნები შეტანილი იქნა ESIA-ს საბოლოო ანგარიშში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება მარეგულირებელ ორგანოებს. ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მოსამზადებლად ESIA-ს ანგარიშის პროექტში შეტანილი ცვლილებების ნუსხა წარმოდგენილია დანარ C3-ში.

1.6 წინამდებარე ESIA-ს ანგარიშის სტრუქტურა

მოცემული ESIA ანგარიში შედგება 16 თავისა და 6 დანართისაგან (A-F), როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. ცხრილი 1-1). ანგარიშში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- შემოთავაზებული WREP-SR პროექტის აღწერა
- ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა მილსადენის მონაკვეთების დერეფანში, სადაც დაგეგმილია მილების გამოცვლა და მარშრუტის შეცვლა

- პოტენციური ზემოქმედების გამოვლენა და შეფასება საპროექტო ტერიტორიების ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით
- კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც აკმაყოფილებს WREP-ის შესახებ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების მოთხოვნებსა და სტანდარტებს
- ნარჩენი ზემოქმედების პოტენციური მნიშვნელობის შეფასება
- ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მართვისა და მონიტორინგის მონახაზი, რომელიც ჩატარდება მილსადენის მშენებლობის პროცესში (ექსპლუატაცია განხორციელდება WREP-ის ექსპლუატაციის მართვის არსებული სისტემების შესაბამისად).

ცხრილი 1-1: ESIA-ს ანგარიშის სტრუქტურა

არატექნიკური რეზიუმე	ESIA ანგარიშის შეჯამება ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე
ტექნიკური რეზიუმე	შემოთავაზებული სამუშაოების შეჯამება
თავი 1 **შესავალი**	WREP-SR პროექტის ზოგადი აღწერა WREP-ის განვითარების კონტექსტში, წინა WREP EIA ანგარიშის დანართების მონახაზი, შეფასების ამოცანები და ESIA ანგარიშის სტრუქტურა
თავი 2 **ტერმინოლოგია და აბრევიატურები**	გამოყენებული ტერმინების, ლათინური დასახელებების, ობიექტების და აბრევიატურების ლექსიკონი
თავი 3 **მიდგომა და მეთოდოლოგია**	ზემოქმედების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდების აღწერა
თავი 4 **პროექტის განვითარება და ალტერნატივების შეფასება**	WREP-SR პროექტის ფარგლებში შესწავლილი ალტერნატიული ვარიანტების აღწერა
თავი 5 **პროექტის აღწერა**	WREP-SR პროექტის დეტალური აღწერა
თავი 6 **პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო**	შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და სახელმძღვანელო მითითებების, აგრეთვე BP-ის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ზოგადი პოლიტიკის, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებისა და მოლოდინების რეზიუმე
თავი 7 **ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობა**	ფიზიკური და ბიოლოგიური გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის აღწერა WREP-SR-ის საპროექტო ტერიტორიაზე
თავი 8 **სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა**	სოციო-ეკონომიკური პირობების აღწერა WREP-SR-ის საპროექტო ტერიტორიაზე

თავი 9 **კონსულტაციის პროცესი**	WREP-SR პროექტისათვის ინფორმაციის შეგროვების მიზნით ჩატარებული საკონსულტაციო პროცესის აღწერა
თავი 10 **ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებები და შემარბილებელი ღონისძიებები (დაგეგმილი საქმიანობები)**	WREP-SR პროექტის ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების შეფასება
თავი 11 **კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები**	საპროექტო ტერიტორიაზე WREP-SR პროექტისა და სხვა ნებისმიერი პროექტის ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი პოტენციური კუმულატიური ზემოქმედებებისა და WREP-SR პროექტის შედეგად წარმოქმნილი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შეფასება
თავი 12 **საფრთხეების ანალიზი და რისკის შეფასება (დაუგეგმავი მოვლენები)**	WREP-SR პროექტის დაუგეგმავ მოვლენებთან დაკავშირებული პოტენციური ეკოლოგიური და სოციო-ეკონომიკური ზემოქმედებების შეფასება
თავი 13 **მართვა და მონიტორინგი**	ეკოლოგიური და სოციო-ეკონომიკური საკითხების მართვის სისტემის, გეგმებისა და მონიტორინგის შემოთავაზებული ზომების აღწერა
თავი 14 **პროექტის საერთო შეფასება**	WREP-SR პროექტთან დაკავშირებული ნარჩენი ზემოქმედებების შეჯამება
თავი 15 **გამოყენებული ლიტერატურა**	გამოყენებული ლიტერატურული წყაროების სია
თავი 16 **ESIA-ს ავტორები**	ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რომლებმაც იმუშავეს ESIA-ს ანგარიშის მომზადებაზე
დანართი A **შეზღუდვების რუკები**	რუკები, სადაც ნაჩვენებია ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და ჰიდროგეოლოგიური პირობები მილსადენის შესაცვლელ მონაკვეთების და მისასვლელი გზების გასწვრივ.
დანართი B **ზემოქმედების შეფასების ცხრილები**	ცხრილები, სადაც მოტანილია ზოგადი და კონკრეტულ უბნებთან დაკავშირებული ზემოქმედებები და შემარბილებელი ღონისძიებები
დანართი C **საჯარო განხილვა და კონსულტაციები**	C1 - საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP) C2 - ESIA-ს საჯარო განხილვის ფაზაზე მიღებულ შენიშვნებზე პასუხები C3 – ESIA-ს ანგარიშის პროექტში შეტანილი ცვლილებების ნუსხა

დანართი D **მშენებლობის ფაზის ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის გეგმა**	მშენებლობის ეტაპის ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის ყოვლისმომცველი გეგმა
დანართი E **ვალდებულებათა რეესტრი**	ESIA ანგარიშში ნაკისრი ყველა ვალდებულების სრული ნუსხა
დანართი F **პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტები**	პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტების აღწერა, რომელთა მიხედვითაც მოხდება პროექტის განხორციელების მონიტორინგი

ESIA პროცესის დროს გამოყენებული იქნა მრავალი პუბლიკაცია და სხვა გამოუქვეყნებელი წყაროები, რომელთა სრული ჩამონათვალი მე-15 თავშია მოცემული. ESIA პროცესში მთელი შესაბამისი ინფორმაციის სინთეზი და შეჯერება ისეთი სახით მოხდა, რომ ESIA ანგარიში დანართებთან ერთად თანმიმდევრულ და დამოუკიდებელ დოკუმენტს წარმოადგენს, თუმცა, ამავე დროს, არსებობს ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიში, რომელიც გარკვეულ საკითხებს უფრო სიღრმისეულად განიხილავს. დაინტერესების შემთხვევაში, ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშის მიღება წინასწარი შეთანხმებით შემდეგ მისამართზეა შესაძლებელი:

BP საქართველო
სულხან ცინცაძის ქ., # 24
(ყოფილი საბურთალოს ქ., #38)
0160 თბილისი

წინამდებარე ESIA ანგარიში ინგლისურ და ქართულ ენებზეა მომზადებული. ESIA-ს ქართულად თარგმნის მიზანი იყო ანგარიშის ინგლისური ვერსიის ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემა ქართულ ენაზე. ანგარიშის ამ ენებზე მომზადებულ ვერსიებში ან სხვა მომდევნო თარგმანებში ნებისმიერი პუნქტის ინტერპრეტაციაში ნებისმიერი წინააღმდეგობის აღმოჩენის ან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოხდება ტექსტის შესაბამისი ნაწილის გადახედვა და შეთანხმება GPC-სა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MENRP) შორის.

ESIA ანგარიში და არატექნიკური რეზიუმე განთავსებულია ვებ-გვერდზე - www.bpgeorgia.ge.

1.7 WREP-ის წინა EIA-ს დანართები და დამატებითი კვლევები

WREP-ის პროექტის წინა ფაზებზე მუშაობის პროცესში BP-მ განახორციელა მნიშვნელოვანი მოცულობის ეკოლოგიური და სოციალური შეფასება; ამის გათვალისწინებით, წინამდებარე ESIA ანგარიშში, საჭიროების მიხედვით, მითითებულია წარსულში ჩატარებული კვლევები. დამატებითი ფონური კვლევები აგრეთვე ჩატარდა საჭიროებისამებრ არსებული მონაცემების შესავსებად. ასეთი მიდგომის საფუძველზე შეფასება ფოკუსირებული იყო პროექტის პოტენციურ ზემოქმედებებთან დაკავშირებულ ყველაზე საკვანძო საკითხზე. წარსულში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარედგინა WREP-ის EIA ანგარიშის შემდეგი დანართები:

- WREP EIA დამატება, ტომი I (1997) – GPC-ის პასუხები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ WREP EIA ანგარიშზე გამოთქმულ შენიშვნებზე
- WREP EIA დამატება, ტომი II (1997) – მდინარეთა დაცვის დასაბუთება (ანგარიში და დანართები)
- WREP EIA დამატება, ტომი III (1997) – მდინარეთა დაცვის დასაბუთება (ანალიზის დეტალები და შედეგები)
- WREP EIA დამატება, ტომი IV (2000) – გამოუყენებელი მილსადენის ნავთობისგან გაწმენდა
- WREP EIA დამატება, ტომი V (2001) – WREP-ის გამტარუნარიანობის 140 MBOD-მდე გაზრდა
- WREP EIA დამატება, ტომი VI (2002) – WREP-ის გამტარუნარიანობის 155 MBOD-მდე გაზრდა
- WREP EIA დამატება, ტომი VII (2005) – WREP-ის გამტარუნარიანობის 166 MBOD-მდე გაზრდა
- WREP EIA დამატება (2007) – მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები ზესტაფონში.

ზემოაღნიშნული ანგარიშები მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ESIA ანგარიშში.